მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საინფორმაციო გამოცემა, 2023 წელი, №1

USAID -ის ძლიერი სოფლის პროგრამა

23 მარტს, მესტიის მუნიციპალიტეტსა და ამერიკის შეერთებული შტატების განვითარების სააგენტოს (USAID) ძლიერი სოფლის პროგრამას შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა.

შეხვედრას უძღვებოდნენ ძლიერი სოფლის პროგრამის ხელმძღვანელი ქალბატონი დინა კარიჩი და პროგრამის რეგიონალური წარმომადგენლები.

USAID-ის ძლიერი სოფლის

პროგრამის მიზანია სამიზნე მუნიციპალიტეტებსა და თემებში ახალი შესაძლებლობების გაჩენა, შემოსავლების ზრდა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნა. პროგრამა არის 5 წლიანი და პრიორიტეტად მიიჩნევა ისეთი დარგები, როგორიც არის ტურიზმი და სოფლის მეურნეობა, ასევე საქართველოს ადმინისტრაციულ-სასაზღვრო ზოლთან მცხოვრები მოქალაქეების სოციალურ-ეკონომიკური განვითარება.

ძლიერი სოფლის პროგრამა მიზნად ისახავს სამიზნე მუნიციპალიტეტის (მათ შორის მესტიის) ხელშეწყობას შემდეგი მიმართულებით:

• მუნიციპალიტეტის განვითარების სტრატეგიის დოკუმენტის შემუშავება

• მუნიციპალური ინფრასტრუქტურული პროექტის თანადაფინანსება

• სათემო ორგანიზაციების შესაძლებლობების განვითარება

. კატასტროფების რისკების შემცირება

USAID-ის ძლიერი სოფლის პროგრამის ხელმძღვანელმა ისაუბრა პროგრამის მნიშვნელოვან მიმართულებებზე და სამუშაო ჯგუფის წევრებს და დამსწრე საზოგადოებას გააცნო მუნიციპალური განვითარების სტრატეგიის შემუშავების ეტაპები, უპასუხა დასმულ კითხვებს და ხაზგასმით აღნიშნა დადებითი მოლოდინების შესახებ პროგრამის ფარგლებში.

მუნიციპალური განვითარების სტრატეგია შემუშავდება საჯარო, სამოქალაქო და კერძო სექტორის ეფექტიანი თანამშრომლობის შედეგად. განსაკუთრებული ყურადღება მიენიჭება პროცესში ქალებისა და ახალგაზრდების ჩართულობას.

ინფრასტრუქტურული პროექტების თანადაფინანსებით, პროგრამა ხელს შუწყობს მუნიციპალური სერვისებისა და ინფრასტრუქტურის განვითარებას.

განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდება ისეთ ინიციატივებზე, რომელიც ემსახურება რეგიონის სტაბილურ და მდგრად განვითარებას, ახალი შესაძლებლობებისა და სამუშაო ადგილების შექმნას, მუნიციპალური ინფრასტრუქტურისა და სერვისების ხელმისაწვდომობას.

ა(ა)იპ მესტიის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული თვითმმართველობა

მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაფუძნდა კერძო სამართლის იურიდიული პირი ა(ა)იპ მესტიის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული თვითმმართველობა, რომლის მიზნებია:

1. მესტიის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების საჭიროებების კვლევა და მათზე მორგებული პოლიტიკის შემუშავება/ადვოკატირება.

2. მესტიის ახალგაზრდული სტრატეგიის განვითარება და აღსრულება.

3. მესტიის მუნიციპალიტეტში ჰარმონიული გარემოს და პოზიტიური სტიმულების შექმნა ახალგაზრდების განვითარებისა და გაძლიერებისთვის.

4. მესტიის მუნიციპალიტეტის მკვიდრ ახალგაზრდებში დემოკრატიის, სამართლის უზენაესობის, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების პრინციპებისა და ღირებულებების გაძლიერება.

5. მესტიის მუნიციპალიტეტის მკვიდრი ახალგაზრდების დაინტერესება ადგილობრივ განვითარებაში მონაწილეობით და მათი მაღალი ჩართულობის უზრუნველყოფა.

6. მესტიის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებისთვის ისეთი შესაძლებლობების შექმნა, რომელიც უბიძგებს მათ გამოავლინონ საკუთარი პოტენციალი სრულად და გამოიყენონ ადგილობრივი განვითარებისთვის.

7. მესტიის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებისთვის ჯანსაღი გარემოს შექმნა, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, მათი აქტიურ და პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქეებად ჩამოყალიბება.

8. ახალგაზრდებში ნარკომანიის და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულების წინააღმდეგ ბრძოლა.

9. ახალგაზრდებში ხარისხიანი ფორმალური, შემოქმედებითი და სამხატვრო განათლების მიღების ხელშეწყობა.

10. ისეთი პროექტების განხორციელება, რომელიც ხელს უწყობს ახალგაზრდული სფეროს განვითარებას და მუნიციპალიტეტში კულტურული გარემოს სტიმულირებას.

11. მესტიის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდებში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით და ინოვაციებზე ფოკუსირებით განვითარების შესაძლებლობების შექმნა.

12. მესტიის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდების დასაქმების ხელშეწყობა და მაღალი კვალიფიკაციის მქონე ახალგაზრდების ჩამოყალიბების მხარდაჭერა.

13. მესტიის მუნიციპალიტეტის მდგრადი განვითარების კვლევა და პოლიტიკის დოკუმენტებზე მუშაობა.

14. მესტიის მუნიციპალიტეტში მდგრადი განვითარების, კარგი მმართველობის, მეწარმეობის, განათლების, კულტურის, სპორტის, ხელოვნების, ინოვაციების, მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერის, გარემოს დაცვის, სოფლის მეურნეობის მიმართულებებით განვითარებაზე ორიენტირებული ინიციატივებისა და პროექტების განხორციელება და მხარდაჭერა.

--

ა(ა)იპ-ის ხედვას, სამუშაო გეგმასა და მეტ ინფორმაციას საქმიანობის შესახებ გაეცნობით საჯარო შეხვედრაზე, რომელიც დაიგეგმება 2023 წლის თებერვლის თვეში მესტიის კულტურისა და ხელოვნების ცენტრში.

ა(ა)იპ- სთან დაკავშირება შეგიძლიათ ფბ. გვერდის მეშვეობით

@მესტიის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული თვითმმართველობა

ან ტელეფონის ნომერზე: 571051686 (ირაკლი მიქიანი).

მისამართი: სეტის მოედანი #1 (მერიის შენობა), პირველი სართული, მეორე კაბინეტი ხელმარჯვნივ.

ვუსურვებთ წარმატებებს.

ახალგაზრდები ნათელი მომავლისთვის

ძვირფასო მკითხველებო, გადავწყვიტეთ, რომ გაზეთის ,,ლილე" ყოველი ნომრის ერთი გვერდი დავუთმოთ თემას ,,ახალგაზრდები ნათელი მომავლისთვის" და გაგაცნოთ ჩვენი კუთხის წარმატებული და მიზანდასახული ახალგაზრდები, რომლებმაც დიდი შრომისა და განათლების მიღების შედეგად მიაღწიეს დასახულ მიზნებს და ყოველდღიურ რეჟიმში აგრძელებენ შრომას თვითგანვითარებისათვის

მოსახლეობას ვთხოვთ ყველა თემიდან მოგვაწოდონ ინფორმაცია მიზანდასახული ახალგაზრდების შესახებ, რათა გავაცნოთ ისინი ფართო საზოგადოებას და ამით ერთგვარი მოტივაცია მივცეთ ყველას თვითგანვითარებისაკენ.



გვსურს გაგაცნოთ 22 წლის წარმატებული ახალგაზრდა, ანა ჩართოლანი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრანტი.

2006-2018 წლებში სწავლობდა მესტიის N1 საჯარო სკოლაში. სწავლის პარალელურად აქტიურად იყო დაკავებული სამთო-სათხილამურო სპორტით, მონაწილეობას იღებდა საქართველოს თასის გათამაშების ეტაპებზე, სადაც ჰქონდა გარკვეული წარმატებები.

14 წლის ასაკში პირველად მიიღო მონაწილეობა ახალგაზრდულ ბანაკში, შემდეგ რამდენიმე სხვადასხვა ბანაკში.. თითოეული განსხვავებულ თემას ფარავდა, თუმცა საერთო მიზნები ჰქონდათ - ახალგაზრდები შეიარაღებულიყვნენ ცოდნით, ერწმუნათ საკუთარი შესაძლებლობების და თავდაუზოგავად ეშრომათ მიზნების მისაღწევად.

სკოლაში მიღებული განათლება, სპორტული ჟინი და ბანაკებში

მიღებული შემართება საუკეთესო კომბინაცია გამოდგა იმისთვის, რომ ცხოვრების ახალ ეტაპზე თამამად გადაედგა ნაბიჯი. მან აირჩია სამომავლო პროფესია - გეოგრაფია და ამავე მიმართულებაზე 2018 წელს, სახელმწიფო გრანტით ჩაირიცხა ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

ცხადია, უნივერსიტეტი სრულიად განსხვავდებოდა სხვა გარემოსგან და თავის დამკვიდრებაც ბევრად რთული ჩანდა, თუმცა სიტუაციაში მალე გაერკვა და ჩაერთო ყველა იმ აქტივობაში, რაც ცოდნის გაღრმავებაში ეხმარებოდა. მაღალი აკადემიური მოსწრების შედეგად სახელმწიფო სტიპენდიებს იღებდა.

ახალი გამოცდილება და ერთ-ერთი წარმატება იყო, როცა 2020 წლის თებერვალს თსუ-ს ყოველწლიურ საფაკულტეტო კონფერენციაზე ანა ჩართოლანის თემა „მესტიაჭალის აუზში მომხდარი პერიგლაციალური ღვარცოფის მიზეზები და შედეგები" დასახელდა გეოგრაფიის სექციის საუკეთესო სტუდენტურ მოხსენებად.

აღსანიშნავია, რომ სწავლის პერიოდში არც სპორტისთვის უღალატია, იმავე თვეში ზამთრის უნივერსიადაზე უნივერსიტეტის სახელით იასპარეზა და საპრიზო ადგილებით დაბრუნდა უკან.

როცა სწავლება ვირუსის გავრცელებასთან დაკავშირებული რეგულაციების გამო დისტანციურზე გადავიდა, ანას მესტიაში მოუწია დაბრუნება. სახლში ყოფნისას მუდმივად ეძებდა საქმეს, რაც დროის გაყვანასა და ახალი ცოდნის მიღებაში დაეხმარებოდა. სწორედ ამ დროს მოხალისედ ჩაერთო The USAID-ის ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამის მიერ დაფინანსებულ და Solimar International-ის მიერ მოწოდებულ ოთხ თვიან სასწავლო კურსში - Destination Management Organization (DMO) Development program (ადგილის მართვის ორგანიზაციის განვითარების პროგრამა) და წარმატებით დახურა.

ამასთან ერთად მესტიის LAG-ის მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში მიიღო მონაწილეობა, მისი პროექტი „სვანეთში სამოგზაურო ტურისტული რუკების საწარმოს ორგანიზება„-ს გულისხმობდა. პროექტში გამარჯვების შესახებ ანამ ჩეხეთში შეიტყო, სადაც Erasmus+ ის გაცვლითი პროგრამის ფარგლებში იმყოფებოდა და ერთი სემესტრის განმავლობაში პალაცკის უნივერსიტეტში გეოგრაფიასა და გარემოსდაცვითი კვლევების მიმართულებაზე სწავლობდა.

ჩეხეთის რესპუბლიკაში პანდემიის პერიოდში ცხოვრება ორმაგი გამოწვევა იყო, თუმცა ამას თან ახლდა უცხოელი მეგობრების გაჩენა, ევროპული ცოდნის მიღება და სხვა გამოცდილებები.

საქართველოში დაბრუნებიდან ძალიან მალე ადგილის მართვის ორგანიზაცია „შან-ლენდ„-ში დაიწყო მუშაობა, LAG-ში მოგებული პროექტის განხორციელება და ჩაერთო აშშ-ს შინაგან საქმეთა დეპარტამენტის (USDOI-ITAP) მიერ მოწოდებულ ერთთვიან სასწავლო ტრენინგ კურსში - Orientation Fundamentals of Protected Areas Integrated Governance and Management (დაცული ტერიტორიების საორიენტაციო საფუძვლები ინტეგრირებული მმართველობა და მართვა).

სწორედ ამავე პერიოდში დაიწყო მის პირველ სამეცნიერო სტატიაზე მუშაობა, რომელიც 2022 წლის იანვარში გამოქვეყნდა ინტერდისციპლინურ სამეცნიერო გაზეთ „საქართველოს გეოგრაფია„-ში. სტატიის თემაა „მთიანი რეგიონების პრობლემატიკა და საერთაშორისო ურთიერთობები".

დამამთავრებელ კურსზე ყოფნისას სახელმწიფო სტაჟირების პროგრამა გამოიყენა, რათა გარემოს ეროვნულ სააგენტოში, ჰიდრომეტეოროლოგიის დეპარტამენტში ექვსთვიანი სტაჟირება გაეარა, რაც უდიდესი გამოცდილებასთან ერათდ შანსი იყო მისი ინტერესები პრაქტიკაში გამოეცადა.

2022 წლის ზაფხულში წითელ დიპლომზე დაამთავრა ბაკალავრიატი და მაგისტრატურაზე ისევ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ისევ სახელმწიფო გრანტით, ისევ გეოგრაფიის მიმართულებაზე - ლანდშაფტურ დაგეგმარებაზე ჩააბარა.

ამჟამად ანა ელოდება შვეიცარელ კოლეგებთან ერთად დაწერილი ბლოგის ერთ-ერთ სამეცნიერო საიტზე განთავსებას, ნომერ მეორე სტატიის „მთიანი რეგიონების სამთო-სათხილამურო კურორტებზე კლიმატის ცვლილების გავლენა და ადაპტაციის გამოცდილება„-ს სამეცნიერო ჟურნალში დაბეჭდვას და სტაჟირებას გადის გის და ზდ საკონსულტაციო ცენტრ „გეოგრაფიკ„-ში.

ანა 2023 სასწავლო წლის ზაფხულის სემესტრს ვენაში University of Natural Resources and Life Sciences (BOKU) -ში გაატარებს, სასწავლო მიმართულებით-ბუნებრივი რესურსების მენეჯმენტი და ეკოლოგიური ინჟინერია.

შეკითხვაზე თუ როგორ მიმართავდა და რას ეტყოდა ის თანატოლებს, ანამ გვიპასუხა:

„ახალგაზრდებს ვურჩევ, არ გაუშვან არც ერთი შანსი, რომელიც მათ პიროვნულ თუ პროფესიულ განვითარებაში დაეხმარება და მუდამ გამოიყენონ საკუთარი ცოდნა სვანეთისა და საქართველოს განვითარებისთვის. იმედგაცრუებები და წარუმატებლობები გვაქვს თითოულ ჩვენგანს, მთავარია ამან არ შეგვაშინოს და მუდამ წინსვლისა და განვითარებისკენ ვისწრაფოდეთ"

გაზეთი ,,ლილე" მოხარულია ანას წარმატებებით, უსურვებს მას წინსვლას, ბედნიერ და ნათელ მომავალს!

სამთო გამყოლი, რომელმაც მსოფლიოს გააცნო საქართველოს მთები

გაგაცნობთ სვანეთის საამაყო შვილს, საქართველოს მთამსვლელთა ახალი თაობის ღირსეულ წარმომადგენელს, ნიკო ფალიანს.

სამთო გამყოლი, რომელმაც მსოფლიოს გააცნო საქართველოს მთა და სამთო პოტენციალი, თავის პროფესიონალ გუნდთან ერთად აგრძელებს საშვილიშვილო მნიშვნელობის საქმიანობას.

2022 ზამთრის სეზონზე ხელმძღვანელობდა სამი ფილმის გადაღებების პროცესს, ფრანგ, ავსტრიელ და შვეიცარიელ პროფესიონალ მოთხილამურეებთან ერთად.

პირველი ფილმი არის „Lukmed" გადაიღო 2022 წლის თებერვალში მესტიაში, ფილმში მონაწილეობენ Sebastien Varlet, Oscar Mandin, Nick Phaliani. რეჟისორი Johan Ghio.

ფილმის პირველი ჩვენება გაიმართა საფრანგეთში, ქალაქ ანესში High Five ფესტივალზე სადაც დაახლოებით 50000 ადამიანი იყო ჩასული. მას შემდეგ ფილმმა 10-ზე მეტ სხვადასხვა საერთაშორისო ფესტივალზე იმოგზაურა.

მეორე ფილმი, „Kastanistan" გადაღებულია 2022 წლის მარტში, რაჭაში ისეთ ზონაში, სადაც აქამდე არავის უსრიალია და კადრები და ფილმიც განსაკუთრებული გამოვიდა. ფილმში მონაწილეობენ: Fabian Lentsch, Konstantin Ottner, Gabriel Indrist, Joi Hoffman, Gogita Chartolani, Zura Phaliani, Nick Phaliani. რეჟისორი Raphael Poham.

ფილმის პრემიერა გაიმართა ავსტრიაში, ინსბრუკში Freeride FilmBase ფესტივალზე.

მესამე ფილმი, „Lost In Georgia" გადაღებულია აპრილის მიწურულს სვანეთში, დადიაშის ხეობაში სადაც ამ ფერდებზე აქამდე თხილამურით არავინ დაშვებულა.

ფილმში მონაწილეობენ, Sebastien Varlet, Nick Phaliani, Fabian Lentsch, Yan Rausis, Corentin Croisonnier. რეჟისორი Sebastien Varlet.

ფილმის პირველი ჩვენება გაიმართა საფრანგეთში, ქალაქ ანესში High Five ფესტივალზე სადაც დაახლოებით 50000 ადამიანი იყო ჩასული. მას შემდეგ ფილმმა 10-ზე მეტ სხვადასხვა საერთაშორისო ფესტივალზე იმოგზაურა.

წარმატებებს ვუსურვებთ სამივე ფილმს და ჩვენი კუთხის საამაყო შვილს, ნიკო ფალიანს მსოფლიო ასპარეზზე.

მესტიის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი

თვითმმართველობის ინდექსის გაუმჯობესება

დასასრულს უახლოვდება თვითმმართველობის ინდექსის გაუმჯობესებისკენ მიმართული სამუშაო შეხვედრები ევროკავშირის ეგიდით მიმდინარე პროექტის ფარგლებში.

მესტიის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს სამუშაო ჯგუფი, ორგანიზაცია ,,სამეგრელოს ხმა"-სთან ერთად აქტიურად ემზადება თვითმმართველობის ინდექსის საერთო ეროვნული შეფასების პერიოდისთვის.

მოსახლეობის წინაშე თვითმმართველობის ორგანოების ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის მაღალი სტანდარტის დანერგვის ხელშეწყობა არის მნიშვნელოვანი ფაქტორი, რისთვისაც მადლობას ვუხდით ბატონებს - თენგიზ ჯგუშიასა და ჯამბულ ნაჭყებიას.

სამუშაო პროცესი მოიცავდა პროექტის თვითშეფასების ანალიზს ეროვნული შეფასების წინ, რაც გაზაფხულისთვისაა დაგეგმილი.

ლამპრობა-დიდი სახალხო დღესასწაული სვანეთში

5 თებერვალს სვანები დიდ სახალხო დღესასწაულს "ლამპრობა"-ს აღვნიშნავთ, მას "ლიჩედურალსაც" (გაქცევა, განდევნა) ეძახიან.

ლამპრობის ჩატარების დრო განისაზღვრება მთვარის ფაზების მიხედვით, ამდენად ის მოძრავია და ტარდება იანვარ-თებერვლის თვეებში, აღდგომამდე 10 კვირით ადრე. ეს ათი კვირა უცვლელია, რაც იმის დასტურია, რომ ლამპრობა განიხილება, როგორც ქრისტიანული დღესასწაული, თუმცა წარმართული ეპოქების რელიგიური პლასტები მაინც შემორჩენილია, რაც მას ისტორიული თვალსაზრისით უფრო მეტ ძალასა და სიდიადეს ანიჭებს.

მთვარის სვლის (ფაზების) მიხედვით, ლამპრობის დღე შემდეგნაირად გამოიანგარიშება: - ძველით ახალი წლიდან პირველ ახალმთვარეობის შემდგომ პირველივე კვირას აღნიშნავენ "ლალჩას" (დასაცავი), ამ დღეს ხდება ლამპრების საბოლოო დამზადება, ხოლო "ლალჩადან" ერთი კვირის თავზე უკვე ლამპრობაა, ანუ "ლიჩედურალი".

ლამპრობის გადატანა არაფრით არ შეიძლება, ამისი არავითარი მიზეზი არ არსებობს, მივიყვან ერთ მაგალითს: გადმოცემის თანახმად ჩემს მშობლიურ გურჩიანების სოფელ ბარშში (ეცერის თემი) ლამპრობის წინადღეს ორი ახალგაზრდა ვაჟკაცი კეფა და არჩილ გურჩიანები დაიღუპნენ, სოფლისთვის და გვარისთვის ეს რა თქმა უნდა უდიდესი ტრაგედია იქნებოდა, მაგრამ სოფელმა ლამპრობა მაინც ჩაატარა, უფრო მეტიც, დაღუპული ვაჟკაცების მამებმა პირველებმა დაიწყეს ამ დღესასწაულის უმთავრესი საგალობელი "ჯგრაგიშ" (ჰიმნ-საგალობელი წმ. გიორგიზე) . ასეთი ფაქტები სვანეთის სხვა სოფლებშიც არის დაფიქსირებული, რომელიც უცილობლად მეტყველებს იმაზე, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი იყო სვანი კაცისთვის ეს საოცარი დღესასწაული, რომელიც ძირითადად მაინც "ჯგრაგისადმი" (წმინდა გიორგი) არის მიძღვნილი.

ლამპრობა სვანისთვის მნიშვნელოვანია იმითაც, რომ მასთან არის დაკავშირებული მტერთან ბრძოლის

გმირული ეპოქები. ამის დასტურად სრულიად საკმარისია ორი სხვადასხვა ეპოქაში მომხდარი ამბების შესახებ თქმულებები.

პირველი თქმულება: - მტერმა მოახერხა სვანეთის დაპყრობა, მაგრამ დაუზამთრდათ და ჯარი იძულებული გახდა დარჩენილიყო სვანეთში. სვანებმა ხერხს მიმართეს და მტრის ჯარი გამოსაზამთრებლად ოჯახებში დაინაწილეს და იმ დღიდანვე დაიწყეს სამზადისი მათ გასანადგურებლად. შეთქმულება რომ არ გამჟღავნებულიყო ბრძოლისთვის მზადება ლამპრობისთვის მზადებას დაამთხვიეს და მიზანსაც მიაღწიეს. ლამპრობის ღამეს სვანებმა მთლიანად ამოხოცეს მტრის ლაშქარი.

გამარჯვების აღსანიშნავი პირველი ლამპარი, შეთანხმების მიხედვით ლაბსყალდის (ცხუმარის თემი) მთავარანგელოზის ეკლესიასთან უთენია აინთო, ეს ეკლესია გადაჰყურებს ბალსქვემო სვანეთის თითქმის ყველა ძირითად ეკლესიას, ბალსზემოთ ლატალის ტაძრებს. მალევე ყველა ტაძართან და შესაბამისად ყველა ოჯახში აინთო გამარჯვების ლამპრები, "ჯგრაგის" ჰიმნს სადიდებელი ისმოდა მთელ სვანეთში.

მეორე შემთხვევა ლამპრის დანთებასთან დაკავშირებულ, უხსოვარ პერიოდს ეხება. ლეგენდად ქცეული ეს ამბავი გურჩიანების გვარის ერთერთმა უხუცესმა ილო გურჩიანმა უამბო აკადემიკოსს ნიკო ბერძენიშვილს, რომელსაც ესწრებოდა ბაბუაჩემი იასონ მურღვლიანი და ეს ამბავი მე მიამბო: უძველეს დროში აფხაზეთში, კერძოდ დალის ხეობაში, რომელიც ჯერ კიდევ სვანთა საცხოვრისი გახლდათ, წამოვიდა დიდი ლაშქარი, რომელთაც სვანები ველურებად მოიხსენიებდნენ. მტერმა გაანადგურა დალის ხეობა, შემდეგ კი შემოვიდა დღევანდელ სოფ. ჭუბერის ხეობაში და მიმდებარე სოფლებიანად მთლიანად გაანადგურა. სვანეთში რა თქმა უნდა განგაში ატყდა, საფრთხე იმდენად სერიოზული იყო, რომ "ჯგრაგის" სახელზე დაამზადეს ლამპრები და ქუდზე კაცი ანთებული ლამპრებით შეიკრიბა. სვანთა ლაშქარმა "ჯგრაგის" სახელით ეს უზარმაზარი ლაშქარი გაანადგურა, მოამბედ მხოლოდ ერთი კაცი გაუშვეს, როგორც ჩემი წინაპრების გადმოცემით ვიცი, პოპულარული საფერხულო სიმღერის "შგარიდა"-ს ერთერთი ვარიანტი სწორედ ამ ომში გამარჯვებას ეძღვნება. მახსოვს სოფელში ლამპრობის დროს საგალობელ "ჯგრაგის" შესრულების შემდეგ შგარიდას შემოსძახებდნენ და სოფლის ცენტრს, ფერხულით უვლიდნენ ხოლმე.

როგორც ზემოთქმულიდან ჩანს, ლამპრობა სვანისთვის დიდი ქრისტიანული რწმენისა და გმირული ისტორიის ზეიმია, რომელსაც მფარველად წმინდა გიორგი (ჯგრაგი) ჰყავს.

გილოცავთ ლამპრობას სრულიად საქართველოს!!!

"ჯგრაგ მლმპარი მარეს ოღ გვიფშირი"

ამ დიდი დღესასწაულის მადლი, წმინდა გიორგის მადლი და ძალა შეეწიოს ჩვენს სამშობლოს საქართველოს და ყველა ქართველს, ამინ!

გურგენ გურჩიანი

სვანეთის ტურისტული რუკა

თუ ჯერ კიდევ არ გსმენიათ Chartography-ს შესახებ, მინდა მოკლედ მოგიყვეთ ჩემი პროდუქტის შესახებ, ესაა - სვანეთის ტურისტული რუკა: ინგლისურენოვანი, კეცვადი (მოგზაურობისთვის ძალიან კომფორტული) და მოიცავს მთელს სვანეთს - ზემო და ქვემო სვანეთის მთელ ტერიტორიას.

რუკაზე დატანილია თითოეული სოფლის, მყინვარის, მწვერვალის, უღელტეხილის, ჩანჩქერის თუ სხვა გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებები. რაც ერთერთი მნიშვნელოვანია, მასზე დატანილია სვანეთის საფეხმავლო მარშრუტების ქსელი, რაც ტურისტებს და სვანეთის ვიზიტორებს აძლევს საშუალებას გაეცნონ ყველა იმ ლოკაციას, სადაც ფეხით შეუძლიათ გადაადგილება. თითოეულ მარშრუტს მოყვება აღწერილობები, რაც ამარტივებს მოგზაურობის პროცესს.

ჩემთვის ყველაზე სასიხარულო ისაა, რომ ვიზიტორებს ექნებათ საშუალება აღმოაჩინონ არა მხოლოდ დღეისთვის ცნობილი და პოპულარული, არამედ ყველა ის მარშრუტი, რომელიც თითქმის ყველა სოფელს აკავშირებს ერთმანეთთან!

მჯერა, რომ რუკის რეალიზებით ტურიზმის სექტორის წარმომადგენლებს მიეცემათ საშუალება დამატებით საინტერესო პროდუქტი შესთავაზონ დამსვენებლებს, ამასთან ერთად დამეხმარებიან ბიზნესის განვითარებაში.

დაინტერესების შემთხვევაში გთხოვთ გამომეხმაუროთ, რათა გაგიზიაროთ დეტალური ინფორმაცია რუკების რეალიზაციის შესახებ.

ანა ჩართოლანი

„მესტიის საავადმყოფოს ამბულატორიულ გაერთიანებაში" სიახლეა

გვსურს გაგაცნოთ ჩვენი კლინიკის ქირურგი ლაპარასკოპი, ბ-ნ. დიმა ჩაჩხიანი.

აპენდექტომია ღია და ლაპაროსკოპიული წესით.

თიაქარკვეთა თიაქარპლასტიკა საპროტეზო მასალის ,,ბადის" გამოყენებით ლაპარასკოპიული და ღია ჰემიკოლექტომია ან ნაწლავის რეზექცია.(მეგასიგმის, დივერტიკულების და სხვა პათოლოგიების დროს) სანაღვლე გზების რეკონსტრუქციული ოპერაციები კუჭ-ნაწლავის რეკონსტრუქციული ოპერაციები (სტომის ჩაბრუნება, პოსტოპერაციული სხვა დასხვა სინდრომის გამო) კუჭის რეზექცია ღია და ლაპაროსკოპიული მეთოდით სპლენექტომია ღია და ლაპარასკოპიული მეთოდით დიაფრაგმისთიაქრის აღდგენითი ოპერაციები ღია და ლაპაროსკოპიული წესით პერიტონიტების მკურნალობა ღია და ლაპარასკოპიული მეთოდით ულცერორაფია ღია და ლაპაროსკოპიული მეთოდით პანკრეასის ყველა სახის ოპერაციები ექინოკოკის (ღვიძლი,ფილტვი და სხვა ორგანოსი) გამო ლაპარასკოპიული და ღია წესის ოპერაციები.

საყლაპავის აქალაზიაზე ოპერაციები საყლაპავის დივერტიკულის ოპერაციები გაუვალობის გამო ლაპარასკოპიული და ღია წესით სხვა და სხვა ოპერაციები.

ბატონი დიმა ასევე გახლავთ თბილისის ,,ავერსის კლინიკის" ზოგადი ქირურგი, ლაპარასკოპი.

ჯანმრთელობას გისურვებთ!

მესტიის საავადმყოფოს ამბულატორიული გაერთიანება

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ვაქცინაცია

გთავაზობთ სურსათის სააგენტოს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური სამმართველოს ინსპექტორის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას:

სურსათის უვნებლობა და სურსათის ხარისხი მთელ მსოფლიოში ძალიან მნიშვნელოვანი მიმართულებაა. მესტიის მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის ძირითად დარგს მეცხოველეობა წარმოადგენს. სურსათის ეროვნული სააგენტოს მთავარი ამოცანაა სასოფლო სამეურნეო ცხოველების ჯანმრთელობა და მათგან ჯანსაღი პროდუქტის მიღება.

სახელმწიფო ყურადღებას აქცევს განსაკუთრებით საშიშ დაავადებებს ცხოველებში, რომელიც გადაედება ცხოველიდან ადამიანს, როგორიცაა ჯილეხი (ციმბირული წყლული), ბრუცელოზი და ცოფი ძაღლებში და კატებში, რომელთა პროფილაქტიკური ვაქცინაცია კეთდება უფასოდ.

ასევე აუცილებელია მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ვაქცინაცია პასტერელოზზე (ყბაყურა) და ემკარზე, ღორებზე ღორის ჭირზე და წითელ ქარზე, რაზეც მოსახლეობამ საკუთარი ხარჯებით უნდა ჩაატაროს ვაქცინაცია.

სასურველია, მოსახლეობამ გამოიჩინოს აქტიურობა ზემოთ აღნიშნული ღონისძიებების ჩასატარებლად და დაგეგმარებაში. ადგილობრივი თვითმართველობის წარმომადგენლები და მოსახლეობა სასურველია ჩართული იყოს გეგმა-გრაფიკის შედგენაში სოფლების მიხედვით ცხოველების ვაქცინაციის ჩასატარებლად.

სასიამოვნო ფაქტია, რომ მესტიის მუნიციპალიტეტში გაიხსნა სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიის მესტიის ლაბორატორია, რომელიც აჭღურვილია თანამედროვე აპარატ-დანადგარებით. დანერგილია კვლევები და მეთოდები, რომელიც საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მიმდინარეობს. ადგილზე შესაძლებელია ჩატარდეს სასმელი წყლის მიკრობიოლოგიური კვლევა, ასევე ცხოველთა გამოკვლევა ბრუცელოზზე და მასტიტზე. ლაბორატორია მუშაობს ახალი კვლევების დამატებაზე.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულთან დაკავშირებით შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ შემდეგ ნომრებზე : სურსათის სააგენტოს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური სამმართველოს ინსპექტორები:

გია კვიციანი- 595 22 11 54
თამარ ნაკანი- 591 113424
ლაბორატორიის უფროსი
მაკა კვიციანი - 591 276466

კონკურსი ოთხ სასტიპენდიო პროგრამაზე

სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრი, 2023-2024 სასწავლო წლისათვის, აცხადებს კონკურსს სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ ოთხ სასტიპენდიო პროგრამაზე:

- საერთაშორისო სამაგისტრო პროგრამა 2023-2024;
- საერთაშორისო სადოქტორო პროგრამა 2023-2024;
- საერთაშორისო სახელოვნებო აკადემიური პროგრამა 2023-2024;
- საზღვარგარეთ კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამა 2023-2024.

პროგრამები ითვალისწინებს როგორც სწავლის საფასურის, ასევე ცხოვრებისათვის საჭირო ხარჯების ანაზღაურებას. სასტიპენდიო პროგრამები არის კარგი შესაძლებლობა საქართველოს მოქალაქეებისთვის, რათა სწავლა გააგრძელონ, აკადემიური ხარისხი მოიპოვონ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის საუკეთესო უმაღლეს სასწავლებლებში და მიღებული ცოდნა მოახმარონ საქართველოს.

განაცხადები ცენტრის ვებგვერდზე - www.iec.gov.ge - ელექტრონულ ფორმატში, ონლაინ სააპლიკაციო სისტემის მეშვეობით 1-ელი მარტიდან 10 აპრილის ჩათვლით მიიღება.

სასტიპენდიო პროგრამებით დაინტერესებულთათვის საკონსულტაციო შეხვედრები გაიმართება საკონკურსო ვადის დასრულებამდე: ყოველ სამშაბათს და ხუთშაბათს, 14:00 საათიდან 16:00 საათამდე, განათლების საერთაშორისო ცენტრის საკონფერენციო დარბაზში. მისამართი: თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი N7, II სართული.

ონლაინ და სატელეფონო კონსულტაციის გავლა ასევე შესაძლებელია ცენტრის სოციალური ქსელის, სატელეფონო ცხელი ხაზის ნომერზე: 0322 97 01 97 და ელექტრონული ფოსტის iec@iec.gov.ge მეშვეობით.

სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრი, რომელიც პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით, 2014 წელს დაარსდა, უკვე 9 წელია აფინანსებს საზღვარგარეთ სწავლის მსურველ სტუდენტებს. კურსდამთავრებულთა უმრავლესობა წარმატებით აგრძელებს საქმიანობას საქართველოში შესაბამის სფეროში. უფრო ვრცელი ინფორმაცია თითოეული პროგრამის შესახებ იხილეთ ცენტრის ვებგვერდზე: iec.gov.ge.

მოახმარე შენი ცოდნა საქართველოს!

სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრი

მიკრო და მცირე მეწარმეობის საგრანტო პროგრამა 2023

3 აპრილიდან იწყება ბიზნესიდეების მიღება მიკრო და მცირე მეწარმეობის საგრანტო პროგრამაზე. ბიზნესიდეების წარმოდგენის ბოლო ვადაა 27 აპრილი, 15:00 საათი.

საგრანტო პროგრამაში მონაწილეობა შეუძლია საქართველოს ნებისმიერ სრულწლოვან მოქალაქეს, რომელსაც სურს საკუთარი ბიზნესიდეის წარმატებულ საქმიანობად გარდაქმნა, ან არსებული ბიზნესის გაფართოება.

გრანტის მაქსიმალური მოცულობა 30 000 ლარს შეადგენს. მეწარმის მხრიდან განსახორციელებელი თანამონაწილეობის თანხა შეადგენს გრანტის თანხის არანაკლებ 20%-ს, ხოლო მაღალმთიან დასახლებებში არანაკლებ 10%-ს.

არსებული ბენეფიციარის შემთხვევაში, ბენეფიციარის თანამონაწილეობა გრანტის თანხის არანაკლებ 50%-ით, მაღალმთიან დასახლებებში კი, არანაკლებ 25%-ით განისაზღვრა.

პროგრამის ფარგლებში განისაზღვრა რამდენიმე პრიორიტეტი:

ახალი ბიზნესის წამოწყება;

ახალგაზრდა მეწარმე სუბიექტის მიერ ბიზნესის დაწყება/გაფართოება;

ქალი მეწარმის მიერ ბიზნესის დაწყება/გაფართოება;

იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიერ ბიზნესის დაწყება/გაფართოება;

შშმ პირთა მიერ ბიზნესის დაწყება/გაფართოება;

სოციალურად დაუცველი პირის მიერ ბიზნესის დაწყება/გაფართოება;

სოფლად/მაღალმთიან დასახლებებში ბიზნესის დაწყება/გაფართოება;

განთავსების საშუალებებსა და ტურისტულ სერვისებზე ორიენტირებული პროექტის განხორციელება.

პროგრამის საინფორმაციო შეხვედრების განრიგი განთავსდება სააგენტოს სოციალურ ქსელებში.

****შენიშვნა: მნიშვნელოვანია, რომ წლევანდელ კონკურსში მონაწილეობის მიღება შეეზღუდებათ 2020-2022 წლებში გამარჯვებულ და 2015-2018 წლების ორჯერ დაფინანსებულ ბენეფიციარებს.***

Freeride-ის მსოფლიო საკვალიფიკაციო ტურის ორვარსკვლავიანი შეჯიბრის გამარჯვებულები ქართველი ათლეტები გახდნენ

Freeride-ის მსოფლიო საკვალიფიკაციო ტურის ორვარსკვლავიანი შეჯიბრის გამარჯვებულები ქართველი ათლეტები- გიორგი იოსელიანი და შაკო (შალვა) მარგიანი გახდნენ.

„ამ ტურნირში გამარჯვება ჩემთვის ძალიან მნიშნველოვანი იყო, განსაკუთრებით იმიტომ, რომ სვანეთიდან ვარ და მინდოდა სწორედ ადგილობრივი გამხდარიყო ჩემპიონი. ძალიან მიხარია, რომ მე ეს შევძელი და ჩემპიონის სტატუსიც მოვიპოვე“ - აღნიშნა გიორგი იოსელიანმა, რომელმაც სნოუბორდის კატეგორიაში მოიპოვა ოქროს მედალი.

„სვანეთის მთებში ვარ გაზრდილი და გადავწყვიტე მეცადა ჩემი ბედი ამ ტურნირში. დღევანდელი გამარჯვებით, ვფიქრობ დიდ მოტივაციას მივცემ ქართველ ახალგაზრდებს, რომ მიყვნენ სპორტის ამ სახეობას“ ამბობს შაკო მარგიანი, თხილამურის კატეგორიაში ოქროს მედალოსანი.

კონკურსის „სვანური სამართალი“

საქართველოს უნივერსიტეტში „მიშგოვ ლარდას“ სტატიების კონკურსის „სვანური სამართალი“ გამარჯვებულთა დაჯილდოების ცერემონია გაიმართა.

გამარჯვებულებს- ანა ჯაფარიძეს (XII კლასი, დაბა მესტიის სკოლა-გიმნაზია), მარიამ ფანგანს (XI კლასი, სოფელ წვირმის საჯარო სკოლა) და მარიამ ნიგურიანს (XII კლასი, დაბა მესტიის N2 საჯარო სკოლა) ფულადი ჯილდოების გარდა გადაეცათ სერტიფიკატები და ბრძანებები საქართველოს უნივერსიტეტის სამართლის სკოლის საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის სრულად დაფინანსების შესახებ.

ვულოცავთ ჩვენი მუნიციპალიტეტის სამივე გამარჯვებულს ამ წარმატებას და ვუსურვებთ სამომავლო მიზნების ასრულებას

შაკო შუკვანის ხსოვნისადმი მიძღვნილი პერსონალური გამოფენა

7 მარტს სვანეთის ისტორიის და ეთნოგრაფიის მუზეუმის დროებით საგამოფენო დარბაზში ახალგაზრდა, სვანი მხატვრის შაკო შუკვანის ხსოვნისადმი მიძღვნილი პერსონალური გამოფენა გაიხსნა.

სვანეთის მუზეუმის დროებით საგამოფენო სივრცეში წარმოდგენილია 50-მდე სხვადასხვა ნამუშევარი, თითოეული მათგანი გამოირჩევა განსაკუთრებულად დახვეწილი შესრულების ტექნიკით, ფერთა გამითა და პროფესიონალიზმით, თითოეული ნამუშევარი გამსჭვალულია მხატვრის განსაკუთრებული დამოკიდებულებითა და სიყვარულით საკუთარი საქმისა და ხელოვნებისადმი.

გამოფენის ორგანიზატორია სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმის სვანეთის ისტორიის და ეთნოგრაფიის მუზეუმი.

გამოფენა ოფიციალურად გაიხსნა სვანეთის ფოლკლორული ანსამბლის „რიჰოს“ ხელმძღვანელის ბატონ ვახტანგ ფილფანის მიერ, რომელმაც ისაუბრა შაკო შუკვანის მოღვაწეობის, მისი ნიჭიერებისა და შესაძლებლობების შესახებ.

დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა სვანეთის ისტორიის და ეთნოგრაფიის მუზეუმის თანამშრომელმა დარიკო ჟორჟოლიანმა.

აღნიშნული გამოფენა სვანეთის ისტორიის და ეთნოგრაფიის მუზეუმში წარმოდგენილი იქნება 2023 წლის 25 მარტის ჩათვლით.

გამოფენაზე დასწრება თავისუფალია.

მესტიაში ნანატრი თოვლი უხვად მოვიდა!

8თებერვალს, ჰაწვალის სასრიალო არეალი სასრიალოდ გაიხსნა.
ჰაწვალის საბაგიროები და ტრასები იმუშავე ბს ყოველდღე:
ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლ ით, 10:00-16:00სთ.
შაბათ-კვირა - 10:00-16:30სთ.
9 თებერვალს გაიხსნა ასევე თეთნულდის სასრიალო არეალი.
თეთნულდის საბაგიროები და ტრასები იმუშავებს ყოველდღე:
ორშაბათიდან კვირის ჩათვლით, 10:00-დან 16:00 სთ-მდე
სასრიალო აბონემენტები გაიყიდება კურორტის სალაროებში

დამფუძნებელი: მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

მისამართი: დაბა მესტია, სეტის მოედანი 1.

გაზეთი მოამზადა მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პრესცენტრის განყოფილებამ

ირმა ჯაჭვლიანი, ნინო ნაკანი

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შპს. „გამომცემლობა კოლორში”

(ტირაჟი - 600 ცალი)

ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით
ტელეფონის ნომერზე: 599 85 55 45
ირმა ჯაჭვლიანი
ელ. ფოსტა:
Irma–ushba@yahoo. com